# დღის წესრიგშია მშდ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში გაიმართა მშდ ახალი კომპლექსის შემოღებისადმი მიძღვნილი თათბირი. თათბირზე მიწვეული იყვნენ სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების, თბილისისა და მისი რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების დირექტორები, უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეები, განათლებისა და ჯანმრთელობის მუშაკები, ჟურნალისტები.

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

კომპლექსის დანერგვის მიზნით ჩასატარებელ ღონისძიებებზე ილაპარაკეს საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბოჭორიძემ, განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგემ ბ. მერკვილაძემ, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგემ ნ. მახვილაძემ, მძლეოსნობის სპეციალიზებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორმა რ. ტრაპაიძემ, „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს თავმჯდომარემ თ. კაპანაძემ, პირველი მაისის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ჰ. პატარაიამ...

თათბირმა შეიმუშავა ღონისძიება კომპლექსის ნორმატივების მასობრივად და მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.

* * *

ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის განყოფილებათა გამგეებისთვის მშდ კომპლექსის შემოღებისადმი მიძღვნილი სპეციალური თათბირი გაიმართა, აგრეთვე, საქართველოს პროფსაბჭოში. ინფორმაციით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბოჭორიძე.

თათბირზე ითქვა, რომ პროფსაბჭოს განყოფილება სისტემატურად განიხილავს სპორტულ საზოგადოებათა საქმიანობის შედეგებს.

უახლოეს პერიოდში პროფსაბჭო მოიწვევს სპეციალურ თათბირ-სემინარს, სპორტული საზოგადოებები ჩაატარებენ საგანგებო პლენუმებს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 54 (4564)

1972 წ. 18 მარტი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




დღეს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზში მთელი დღის განმავლობაში დანიშნულია მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება მსურველთათვის.

გიწვევთ სარბიელზე!

# რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამოცანები და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსი

**გ. სიხარულიძე,**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

სკკპ XXIV ყრილობამ საბჭოთა ხალხს დიდი სამოქმედო გეგმა დაუსახა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვისაც, იმ მიზნით, რომ შეიქმნას პირობები ფიზკულტურასა და სპორტში ყველა ასაკის მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად.

მიმდინარე ხუთწლედის მთავარი მიზანი ისაა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპის, მისი მეტი ეფექტურობის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და შრომისნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე. ხუთწლედის მთავარი ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭება ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების უშრეტ წყაროს.

მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისთვის პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის კიდევ ერთი გამოხატულებაა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის შემოღება. 1972 წლის 1 მარტიდან ეს კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საპროგრამო და სანორმატივო საფუძველია. იგი მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ყოველმხრივ განვითარებული, ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანების აღზრდაში, შრომისუნარიანობისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის გამომუშავებაში, ჯანსაღი დასვენების ორგანიზაციაში, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების გახანგრძლივებაში.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა წამოაყენეს დებულება ფიზიკური აღზრდის, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი აუცილებელი და მოქმედი საშუალების შესახებ. ვ. ი. ლენინს მშრომელთა ფიზიკური აღზრდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიაჩნდა. იგი ამბობდა: „ჩვენს შრომით ქვეყანაში გვჭირდება ფიზიკურად მაგარი ადამიანები, მტკიცე ნებისყოფიანი, ვაჟკაცური, ენერგიული, შეუპოვარი ადამიანების მილიონიანი არმიები. მომავალი მათ ეკუთვნით. მათმა ხელებმა უნდა მოიპოვონ ადამიანთა საზოგადოების ახალი საფუძვლების მშენებლობის უფლება".

ამ სიტყვებმა თავისი განვითარება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებში ჰპოვა. მათი პრაქტიკული განხორციელება კი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის თითქმის პირველი დღეებიდანვე დაიწყო. 1931 წელს ლენინური კომკავშირის თაოსნობით შემოღებული იქნა კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". ამ კომპლექსის შემოღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის განვითარებისა და სრულყოფისთვის.

მშდ პირველი კომპლექსის შემოღება დაემთხვა სოციალიზმის გაშლილ შეტევას ყველა ფრონტზე. ეს იყო წლები, როცა საბჭოთა ქვეყანაში ხდებოდა ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის დანერგვის გზით, როცა მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის ინტენსიური კოლექტივიზაცია.

რა თქმა უნდა, ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში ამ წლებამდეც ვითარდებოდა. მაგრამ მშდ კომპლექსის შემოღების წინა პერიოდში ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობას უფრო მეტად ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა, ვერ უზრუნველყოფდა ახალგაზრდებისა და მათზე უფროსი მშრომელების ყოველმხრივ მომზადებას შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის.

ფიზიკური აღზრდისთვის გაშლილ მუშაობაში მშდ კომპლექსის დანერგვის შემდეგ ფიზიკური აღზრდის მეთოდები და შინაარსი საერთო ფიზიკური მომზადების სპორტის ცალკეულ, არჩეულ სახეობებში მეცადინეობასთან შერწყმის საფუძველზე გარდაიქმნა. ამან მოგვცა საშუალება ფიზიკური აღზრდის ყოველმხრივობა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო, მისი შინაარსი და მეთოდიკა სავსებით შეთანხმებოდა ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე დასახულ გაზრდილ ამოცანებს.

შემდგომში მშდ კომპლექსი ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის მთელ სისტემასთან ერთად იცვლებოდა და იხვეწებოდა. 1932 წელს დაინერგა კომპლექსის II საფეხური გაზრდილი სანორმატივო მოთხოვნებით. 1934 წელს შემოიღეს საფეხური „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" — 14-15 წლის მოსწავლეებისთვის. მშდ კომპლექსში ცვლილებები შემდგომ წლებშიც შეჰქონდათ.

მშდ კომპლექსმა დანერგვის პირველი დღიდანვე ფართო პოპულარობა მოიპოვა. მშდ-ს სამკერდე ნიშანს ამაყად ატარებდა საბჭოთა ქვეყნის ბევრი სახელოვანი მოქალაქე. ეს იყვნენ ადამიანები, რომლებიც გმირობასა და სიმამაცეს იჩენდნენ შრომით ვახტზე, მაღაროებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, ფოლადის დნობისა და დამუშავების, ახალი შენობების აგების, ახალი გზების გაყვანის დროს. მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნით ამაყობდნენ მფრინავები და ხელოვნების მუშაკები, მოსწავლეები და სტუდენტები, ექიმები და გეოლოგები, მუშები და მოსამსახურეები, კოლმეურნეები, ჯარისკაცები და მეზღვაურები, წითელი არმიის მეთაურები, ესე იგი, ყველა ის, ვინც მსოფლიოში პირველ სოციალისტურ საზოგადოებას აშენებდა და მტრის თავდასხმისგან იცავდა მას.

მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივმა ჩაბარებამ მრავალმხრივ შეუწყო ხელი საბჭოთა არმიის მეომართა ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დიდი სამამულო ომის დროს — 1941-1945 წლებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მშდ კომპლექსი ძალიან უწყობდა ხელს სპორტულ სექციებში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას. ბევრმა სახელგანთქმულმა სპორტსმენმა წარმატებათა დიდი გზა დაიწყო სწორედ მშდ I და II საფეხურების ნორმატივების ჩაბარებით სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზიკური კულტურის კოლექტივებში. გავიდა წლები. ბევრი რამ შეიცვალა. ამჟამად საბჭოთა ქვეყანა სოციალიზმის ქვეყნების დიდ ბანაკთან ერთად სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ, კომუნიზმისკენ. ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვნად შეიცვალა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე მდგარი ამოცანებიც.

მშდ პირველი კომპლექსის დანერგვის დღეებში სსრ კავშირში სპორტს მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი მისდევდა, დღეს კი ათეულ მილიონობით ადამიანია ჩაბმული. ბუნებრივია, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივები ნაწილობრივ მოძველდა და საჭირო გახდა მათი სერიოზული გადასინჯვა. მშდ კომპლექსი დღეს მოწოდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ფიზიკური კულტურის დანერგვას ყველაზე ფართო ასაკობრივი დიაპაზონით. თუ კომპლექსის შემოღების პირველ წლებში ნორმატივებს უმეტესად ახალგაზრდები აბარებდნენ, დღეს ჩამბარებელთა ასაკობრივი შემადგენლობა ძალიან გაფართოვდა. მაგალითად, ნორმატივების ჩაბარება 14 წლის ასაკიდან იწყებოდა, ახლა კი 10 წლიდან იწყება. წინათ ჩამბარებელთა ასაკობრივ ზღვარს არ უთითებდნენ, მაგრამ ასაკობრივი ჯგუფები ძალიან დიდი იყო: მშდ II საფეხურის ჩამბარებელი კაცებისთვის — 36-45 წელი, 46 წელი და ზევით; ქალებისთვის — 19-25 წელი, 26-35 წელი, 36 წელი და ზევით. ახლა „ფიზიკური სრულყოფის" (19-39 წლის კაცებისა და 19-34 წლის ქალებისთვის) და „მხნეობისა და ჯანმრთელობის" (40-60 წლის კაცებისა და 35-50 წლის ქალებისთვის) საფეხურების შემოღებამ შექმნა პირობები, რომ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა წრე ბევრად გაფართოვდეს. ეს ცვლილებები გამოწვეულია საბჭოთა ხალხის ეკონომიური უზრუნველყოფის დონის მნიშვნელოვანი ამაღლებით, სპორტული ბაზებისა და ნაგებობების რიცხვის ზრდით. ბოლო წლებში საბჭოთა ქვეყანაში გაჩნდა საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის ახალი ფორმა — „ჯანმრთელობის კლუბები". ყველაზე ფართო განვითარება ჰპოვა ტანვარჯიშმა წარმოებაში, მათ შორის, სოფელ ადგილებში. ფართოდ განვითარდა, აგრეთვე, ფიზიკუ-


(დასასრული მე-2 გვ.).




ამას წინათ რუსთავში გაიმართა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრებები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ადგილობრივი სპორტსმენების გარდა ხალიჩაზე გამოვიდნენ სურამის, ვალესა და გარდაბნის პროფტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლები.

კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ გ. ხარაიშვილი, ი. სიჭინავა, თ. ნინიკური, თ. ოგანიანცი (ყველა — რუსთავი), ნ. მაჭარაშვილი, გ. მეტრეველი (ორივე — სურამი), ი. და ა. ბერიძეები, გ. მაჭარაშვილი, რ. ლაფერაშვილი, ა. ნატროშვილი (ყველა — რუსთავი).

თავისუფალ ჭიდაობაში ყველა I ადგილი რუსთაველმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. ესენი არიან: გ. გუჩმაზაშვილი, ი. სიჭინავა, გ. კალატოზიშვილი, გ. მაჭარაშვილი, ბ. ჭიპაშვილი, თ. კობახიძე, ტ. პაპუნაშვილი, გ. ლობჟანიძე, ი. ბერიძე.

**რ. ბაბრიჭიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** ახეთი საინტერესო მომენტი მრავლად იყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში.

ავტორის ფოტო.

# დარბაზობა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში

15 მარტს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა მიიღო საქართველოში მყოფი სლოვენიის დედაქალაქის ლიუბლიანის სპორტული დელეგაცია სკუპშჩინის თავმჯდომარის ლეოპოლდ მაჩეკის მეთაურობით. საუბრის დროს შეეხნენ თბილისისა და ლიუბლიანის სპორტული ურთიერთობის პერსპექტივებს, აღნიშნეს, რომ ხელბურთელთა გუნდების ურთიერთვიზიტმა ბევრად შეუწყო ხელი ორივე კოლექტივის სპორტული ოსტატობის ამაღლებას, კიდევ უფრო განამტკიცა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრული კავშირი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. შავარდნაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. გაბუნია და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამოცანები და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსი

დასასრული

...რი კულტურა საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა შორის. დიდია მოსახლეობის სწრაფვა ფიზიკური კულტურისკენ. მაგრამ ფიზკულტურა და სპორტი ჯერჯერობით კიდევ არ არის სრულად გამოყენებული ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის მზადებაში. ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში არ იგრძნობა ყოველდღიური ზრუნვა მშრომელთა ფიზიკური აღზრდისთვის, მათი ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის, ჯანსაღი დასვენების პირობების შექმნისთვის, რაც მავნე ჩვევებისა და უმიზნო დროსტარებისგან დაგვიცავდა.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსი ხელს უწყობს პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების მობილიზებას სკკპ XXIV ყრილობის მიერ სსრ კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

მშდ ახალი კომპლექსის დანერგვასთან ერთად მაღლდება სამინისტროების, უწყებების, პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მშრომელთა ფიზიკური აღზრდისთვის.

განსაკუთრებით დიდია ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში კომკავშირელთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების როლი. სწორედ ისინი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში შემავალი ხალხების ჯანმრთელობის გაკაჟებისკენ მიმართულ ღონისძიებათა თაოსნები და ჩამტარებლები.

როგორც ცნობილია, ყოველ საქმეში აუცილებელია ობიექტური მაჩვენებლების არსებობა, რომლებიც მის შედეგიანობაზე მსჯელობის საშუალებას იძლევიან. ყველა ხელმძღვანელსა და იმ პირს, რომელთაც მინდობილი და დავალებული აქვთ სამინისტროებისა და უწყებების, ფაბრიკებისა და ქარხნების, ტრანსპორტისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამხედრო ქვედანაყოფებისა და ნაწილების ხელმძღვანელობა, დღეს საერთო საქმისთვის მუშაობა მოეთხოვება. მათ არა მარტო დადგენილებები უნდა მიიღონ იმის თაობაზე, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია, რომ ისინი ხელს უწყობენ მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟების, შრომისნაყოფიერების ამაღლებას და სამხედრო ვალის წარმატებით მოხდას, არამედ და პირველ ყოვლისა ამ იდეების პრაქტიკული განხორციელება უნდა უზრუნველყონ. ამ მნიშვნელოვან საქმეში მშდ ახალი კომპლექსი გახლავთ ობიექტური საზომი, რომლის მეოხებითაც ჩატარებული მუშაობის შედეგები შეფასდება.

იმას, თუ როგორ სრულდება ნებისმიერ სასწავლებელში, საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფიზიკური კულტურის განვითარების ამოცანები, გვიჩვენებს ობიექტური ციფრი — რამდენმა კაცმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს, რომ მთელი მონდომება მიმართული იქნეს ამ მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების შექმნისკენ. ეს უმთავრესად ეხება სპორტულ, პირველ ხანებში თუნდაც უმარტივეს ნაგებობათა მშენებლობას, აგრეთვე, არსებული სპორტული ბაზებისა და ნაგებობათა რაციონალურ დატვირთვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სასოფლო კლუბების, აგრეთვე, საცხოვრებელი მასივების მშენებლობის დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი სპორტული ბაზებიც. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გვაქვს შემთხვევები, როცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სპორტული დარბაზების გარეშე შენდება, ზოგჯერ კი სპორტული დარბაზები სააქტო დარბაზებით იცვლება. ბევრ საცხოვრებელ მასივში მოწყობილია მხოლოდ უმარტივესი მოედნები, სადაც ცუდ ამინდში ვარჯიში არ შეიძლება. ბევრჯერ სპორტული ბაზები და საცხოვრებელი ბინები ერთდროულად არ გადაეცემა საექსპლოატაციოდ, რითაც სადირექტივო ორგანოების მითითება უხეშად ირღვევა.

მშდ ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხი დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგება. ამ საკითხის წარმატებით გადაჭრისთვის ყველა გზა და შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ. სწორედ ამიტომ იქცევს დიდ ყურადღებას თბილისის პირველი მაისის, ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონების, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის, ახალციხის რაიონის აწყურის საბჭოთა მეურნეობის, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სხვა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობა, რომელთაც ახალგაზრდობას გეზი მისცეს სპორტული ბაზების საკუთარი ძალებით მშენებლობისკენ. ასეთ ნაგებობათა ქსელმა არა მარტო წინაპირობა შექმნა ფიზიკური კულტურის მასობრივი განვითარებისთვის, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყო ახალგაზრდობის ჯანსაღ დასვენებას.

ფიზიკური კულტურის განვითარებისთვის დიდ ზრუნვას იჩენენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ქუთაისის ავტოქარხანაში, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში, თბილისის საავიაციო და ელმავალმშენებელ ქარხნებში, რესპუბლიკის ბევრ სხვა საწარმოსა და დაწესებულებაში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა მაიაკოვსკის, გორის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ასპინძის, წალენჯიხის, ზნაურის, გულრიფშისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელოვან როლს სათანადოდ არ აფასებენ ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების მესვეურები. იყო ფაქტები, როცა ხელმძღვანელები ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორის თანამდებობას აუქმებდნენ ან ისეთი დავალებებით ტვირთავდნენ ინსტრუქტორებს, რასაც ფიზიკურ კულტურასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ზოგან სპორტულ მოედნებსა და დარბაზებს არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ. მაგალითად, ასე მოხდა მცხეთის ხე-ტყის სახერხ კომბინატში, ბორჯომის № 1 ჩამომსხმელ ქარხანაში, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკაში და სხვაგან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დღეებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ოპერატორული ტიპის შრომა, რასაც დიდი ფიზიკური დატვირთვა არ სჭირდება, მაგრამ ძალიან დაძაბული სამუშაო კია. დღევანდელ პირობებში ადამიანი ნაკლებად მოძრაობს. ეს ეხებათ დიასახლისებსაც. ამგვარად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი „მოძრაობის ნაკლებობას" განიცდის, რასაც ადამიანის სხეულისთვის ბევრი ზიანი მოაქვს.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ „მოძრაობის ნაკლებობის" ანაზღაურების მძლავრი წყაროა, რითაც ხელი ეწყობა მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებას, მათს დღეგრძელობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ მშდ ახალი კომპლექსის ნორმები გათვალისწინებულია ჩამბარებელთა ფართო წრისთვის, მათ შორის, დიასახლისებისა და პენსიონერებისთვისაც კი, დგება შესაბამისი პირობების ორგანიზაციის საკითხი. აქ აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ უკვე არსებული „ჯანმრთელობის ჯგუფები", სახლმმართველობებთან შექმნილი კლუბები. ამას გარდა, ამავე მიზნით უნდა შეიქმნას სპეციალური ცენტრები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ყველა დიდ სპორტულ ბაზაზე. მაგალითად, ასეთი ცენტრები შექმნილია თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე, საცურაო აუზზე, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ კომპლექსთან, „დინამოს" სტადიონზე, ბათუმის „განთიადის" საცურაო აუზზე, სოხუმის „სპარტაკის" სპორტულ დარბაზში, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე და „განთიადის" საცურაო აუზზე, რუსთავის სპორტკლუბ „ფოლადის" სტადიონზე და სხვ. ყველა ამ ცენტრთან ორგანიზებულია მშდ ნორმატივების ჩამბარებელთა სისტემატური მზადება და ნორმატივების ჩაბარებაც, განსაკუთრებით შაბათ-კვირას. ყოველივე ეს უნდა გავაცნოთ მოსახლეობას, უნდა ჩავატაროთ ღონისძიებები ახალი კომპლექსის აგიტაციისა და პროპაგანდისთვის, რათა ამ საქმეში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი მსურველი. მშდ ახალი კომპლექსის პროპაგანდამ ჟურნალ გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე, სალექციო პროპაგანდამ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მთელი აქტივის ძალებით მრავალმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილების წარმატებით განხორციელებას.

უკვე გამოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებიც პირველნი გამოეხმაურნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას. ესენი არიან თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი და 77-ე საშუალო სკოლა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი და სხვ. ამ კოლექტივებში წარმატებით ჩატარდა ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, გამოვლინდნენ მშდ-ს ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნების პირველი კანდიდატები.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მოსახლეობის ფართოდ ჩაბმის უდიდესი მნიშვნელობა ისაა, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება სპორტულ სექციებში მომეცადინეთა ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა. შესაბამისად, ჩნდება შესაძლებლობა, რომ წარმატებით გადაიჭრას სპორტის სხვადასხვა სახეობის მასობრივი განვითარების საკითხი.

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებას „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის შემოღების თაობაზე. დამუშავდა და უკვე ინერგება ღონისძიებები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში რესპუბლიკის მოსახლეობის რაც შეიძლება ფართოდ ჩასაბმელად. როგორც ცნობილია, წლევანდელი წელი ოლიმპიური გახლავთ. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის იგი ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ წლეულს მწყობრში ჩადგა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი.

მოწოდებით მივმართავთ ჩვენს წამყვან სპორტსმენებს, ოლიმპიურ, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის, რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების, ფიზკულტურის კოლექტივების ჩემპიონებსა და პრიზიორებს, ჩვენს მოწინავე მწვრთნელებს, სპორტის სპეციალისტებს, აქტივს, ჩვენს ახალგაზრდობას, სწავლისა და წარმოების მოწინავეებს — ჩადგნენ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა პირველ რიგებში. ჩვენი რესპუბლიკა მუდამ ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. ოდნავაც არ გვეეჭვება, რომ საქართველოს მშრომელები დღესაც, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაჭრის დროს, ღირსეულად გამოეხმაურებიან ამ საჭირო საქმეს და თავიანთ პატრიოტულ ვალს მოიხდიან.

## გეგმის შესრულებაში დაგვეხმარება

მშდ ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით ფაბრიკის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის კრება ჩავატარეთ. ვილაპარაკეთ კომპლექსის მნიშვნელობაზე, მისი დანერგვის აუცილებლობაზე. გადავწყვიტეთ ნორმატივების ჩაბარება.

ფიზკულტურის მეთოდისტმა კ. კახიძემ და მისმა აქტივმა საამქროებში, უბნებსა და ბრიგადებში სხვადასხვა ასაკის მუშა-მოსამსახურეთა შორის სათანადო სააგიტაციო მუშაობა გაიჩაღეს. უწინ მშდ-ს ნორმატივებს უმეტესად ახალგაზრდობა აბარებდა. ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში საწარმოს ყველა მშრომელი ჩაებმება.

ჩვენთან ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. მათი ასაკისთვის ახალი კომპლექსი ცალკე საფეხურს ითვალისწინებს. მართლაც, ძნელმისაწვდომი კარგადაა შერჩეული სანორმატივო მოთხოვნები!

ფაბრიკის კოლექტივს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს სოხუმის ტყავის ფეხსაცმლის კომბინატი. სხვა ვალდებულებათა შორის ერთ-ერთი პარაგრაფი საწარმოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვასაც ეთმობა. ახლა მას, რა თქმა უნდა, მშდ კომპლექსის ნორმატივების უკეთ ჩაბარებაც უნდა დავუმატოთ.

ქარხანაში უკვე შექმნილია ნორმატივების მიმღები კომისია, რომლის მეთაურობაც მე დამევალა. კომისიის შემადგენლობაში არიან ფაბრიკის მოწინავე ადამიანები.

ფაბრიკაში უკვე დაიწყო ახალი კომპლექსის ჩაბარება. ამ მხრივ პირველი № 3 შემკერავი საამქრო (უფროსი ნ. გოგუა) აღმოჩნდა. შედეგები კარგია.

მშდ ახალი კომპლექსი სიჯანსაღის, შრომისნაყოფიერების წყაროა, ოღონდ მარტო ნორმატივების ჩაბარებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, — საჭიროა ფიზიკური წრთობა შემდეგშიც გავაგრძელოთ. ეს საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებაშიც დიდად დაგვეხმარება.

**ვ. დოლიძე,**
ბათუმის ფეხსაცმლის № 4 ფაბრიკის დირექტორი.

[illegible]

— **ხობი**

ჩატარდა რაიონის პირადი პირველობა მძლეოსნურ კროსში გაზეთ „პრავდას" პრიზზე. როგორც 3000, ისე 5000 მეტრზე რბენაში ტოლი არ ჰყავდა ნოჯიხევის 30-ე პროფტექსასწავლებლის მოსწავლე ვ. ისლამოვს.

**ჭ. სანიკიძე,**
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

## მესამედ

თბილისის სპორტის სასახლე დღეს მესამედ უმასპინძლებს სიმაღლეზე მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებას გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. შავლაყაძის სახელობის პრიზზე.

შავლაყაძემ გრძელი და სახელოვანი გზა განვლო. მძლეოსნობაში ვარჯიში მან ლ. დათაშვილთან და დ. მეთლემიძესთან 1948 წელს დაიწყო და სულ მალე სხვა სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. ჭაბუკობაში გ. ათანელოვთან ვარჯიშობდა. მაგრამ მისი ნიჭი განსაკუთრებით სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ბ. დიაჩკოვთან მეცადინეობის დროს გაიფურჩქნა.

შავლაყაძემ 10 წლის შემდეგ საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველ დიდ წარმატებას მიაღწია: ბუქარესტში 2 მ გადალახა და III ადგილი დაიკავა. მერე მოსკოვში ძმები ზნამენსკების პრიზზე შეჯიბრებაში II ადგილი (205 სმ) მოიპოვა, ფილადელფიაში კი აშშ — სსრ კავშირის მძლეოსანთა მატჩში ჯ. უილიამსისა და შემდეგში მსოფლიო რეკორდსმენ ჩ. დიუმას დამარცხება შეძლო.

რობერტმა მერეც ბევრი გამარჯვება იზეიმა. შედეგებიც თანდათან მატულობდა. მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას ქართველმა სპორტსმენმა მაინც რომში, XVII ოლიმპიურ თამაშებში მიაღწია: 216 სმ დაძლია და ოქროს მედალი მოიგო. მაშინ მან ყველაზე მთავარი მეტოქეები — ვ. ბრუმელი და მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. თომასი მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა...

რომიდან დაბრუნებულ შავლაყაძეს სარბიელი დიდხანს არ მიუტოვებია, კიდევ ბევრი გამარჯვება მოიპოვა, პირად საუკეთესო შედეგს (217 სმ) კი ტოკიოს ოლიმპიადის წელიწადს მიაღწია, როცა სსრ კავშირის ჩემპიონობა დაისაკუთრა. XVIII ოლიმპიადის (ტოკიო) სარბიელზე ავადმყოფი ასპარეზობდა, მაგრამ V ადგილის დასაკუთრება შეძლო.

სახელოვანი სპორტსმენის პრიზის პირველი გათამაშება 1970 წლის 24 მარტს მოეწყო. მაშინ ჯილდო წილად ხვდა მინსკელ ა. კასკოვს, რომელმაც 211 სმ დაძლია და თბილისის სპორტის სასახლის პირველი რეკორდი დაამყარა.

შარშან 20 მარტს ჩატარდა პრიზის მეორე გათამაშება, რომელშიც სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და რუმინეთის 17 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველას ბედი რდიჩევსკის ი. ახმეტოვმა აჯობა, რომელმაც სასახლის რეკორდის ჭერი 217 სანტიმეტრამდე გაზარდა.

წლეულს „სპორტის დღეობის" მოყვარულები სარბიელზე იხილავენ სსრ კავშირის, გფრ-ის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, რუმინეთის საუკეთესო ათლეტებს. მათ შორის ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრებიც იქნებიან.

ტურნირის რეგლამენტი ასეთია: 17 საათზე სარბიელზე ქალები გამოვლენ, 19 საათიდან კი ბრძოლაში ვაჟები ჩაებმებიან.

ასპარეზობის მონაწილეებისთვის დაწესებულია სპეციალური პრიზები.

**რ. მაღრაძე.**

* * *



1961 წლის ოქტომბერში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე სსრ კავშირის ჩემპიონატი გაიმართა. ეს სურათიც სწორედ მაშინ არის გადაღებული. მასზე აღბეჭდილია მომენტი, როცა ოლიმპიური ჩემპიონი რ. შავლაყაძე სიმაღლეზე ხტომაში მორიგი ცდის წინ რჩევას აძლევს თ. მდივანს.

დ. კახურაშვილის ფოტო.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# ამიერიდან ასე იქნება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამას წინათ იმსჯელა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდების მინიჭების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. დადგინდა, რომ ძველ დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის გამო 1960 წლის 22 სექტემბერს მიღებული დადგენილება (№ 96) გაუქმდეს.

ამ ცვლილებათა მიზანია რესპუბლიკის გამოჩენილი მწვრთნელების წახალისება, რომლებიც წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებისთვის.

ამიერიდან „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდების მისანიჭებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მასალებს წარადგენენ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული, საქალაქო, საოლქო და ავტონომიურ რესპუბლიკათა კომიტეტები, საქართველოს სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების სამმართველო, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბი, მონკავშირისა და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტები, სპორტის სახეობათა ფედერაციები.

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი წარდგენილი კანდიდატურების საკითხს სპორტის შესაბამის სახეობათა ფედერაციების სათანადო შუამდგომლობის შემდეგ განიხილავს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ახალი დადგენილებით „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიენიჭებათ იმ მწვრთნელებს, რომლებიც უმწიკვლოდ ემსახურებიან საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს საიმედო ცვლას უმზადებენ, ქმნიან და ნერგავენ წვრთნის ახალ მეთოდებს, სპორტსმენებს პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიან, აღსაზრდელებს გამოუმუშავებენ მტკიცე მორალურ თვისებებს, ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან.

მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ფარიკაობასა და ველოსპორტში მომუშავე მწვრთნელებისთვის სავალდებულოა თითო სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადება.

ჭიდაობის ყველა სახეობაში მომუშავე მწვრთნელებისთვის სავალდებულოა 5-5 სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა და თითო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის აღზრდა.

დანარჩენ სახეობებში მომუშავე მწვრთნელებისთვის მოთხოვნა 3-3 სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა და თითო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადებას ითვალისწინებს.

დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭებათ აგრეთვე იმ მწვრთნელებს, რომლებიც აღზრდიან და სპეციალიზაციისთვის მოამზადებენ მაღალი კლასის ახალგაზრდა, მზარდ სპორტსმენებს — შემდგომში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს.

იმ მწვრთნელებს, რომლებსაც „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიენიჭებათ, გადაეცემათ შესაბამისი მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ახალი სამკერდე ნიშნის შესაქმნელად კონკურსი გამოაცხადა.

# ერთი კაცის ამაგი

კაცს სამოცი წელი შეუსრულდა. დიდი ზარ-ზეიმი არ ყოფილა. გაიხსენეს, სთხოვეს, რამდენიმე სიტყვა გვითხარით თქვენს განვლილ გზაზე: რა გაგონდებათ, რა უფრო მეტად დაგამახსოვრდათ, ყველაზე უფრო რა გახარებდათ ან გული რამ გატკინათო. სხვა მის ადგილზე შეიძლება უფრო მჭევრმეტყველი ყოფილიყო, უფრო ლამაზად ეამბნა ის, რაც გააკეთა, უფრო მეტი სპარეზი მიეცა ჩვენი კორესპონდენტისთვის, რომელსაც მისი მოკრძალებული ცხოვრების შესახებ თუნდაც სულ პატარა ნარკვევის დაწერა ჰქონდა დავალებული. მან კი ვერა თქვა ამდენი. უფრო ზუსტად, საერთოდ არაფერი უთქვამს, დაჯდა, იფიქრა და ერთ პატარა ბარათში წვრილად, მოკლედ, ძუნწად ჩამოწერა როდის სად უხმეს, როდის რა დაავალეს, როდის რა გააკეთა...

ჩვენც გვინდა თვითონ ეს ამაგდარი კაცი ვალაპარაკოთ მკითხველთან. ზუსტად გადმოგცეთ ლევან სტვილიას ნაამბობი, არც დავუმატოთ რამე და არც დავაკლოთ.

„ათი წლის ბიჭი ვიყავი, როცა იმ დროისთვის უკვე მხცოვან პედაგოგ გიორგი ეგნატაშვილთან დავიწყე მეცადინეობა. „შევარდენში", უმცროსი ასაკის ტანმოვარჯიშეთა ჯგუფში მიმიღო. ის დღე იყო ჩემი ნათლობა. მას შემდეგ გამიჭირდება დავასახელო საჩვენება, დავასახელო რამე დიდი სპორტული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა არ მიმეღოს. რა კარგია, როცა ნავარჯიშევი ხარ, მოქნილი, ღონიერი, ჯანსაღი. ამიტომ ვერ ვუღალატე ვერასოდეს ფიზკულტურას.

მახსოვს, 1928 წელს რკინიგზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში დავიწყე სწავლა. იქ ფეხბურთს ვთამაშობდი, გუნდის კაპიტანი ვიყავი. სკოლის დამთავრების შემდეგ ტრამვაის პარკში ვმუშაობდი ზეინკლად. იქ ფიზკულტურის ძარღვული საბჭოს თავმჯდომარე გახლდით, ქართული ჭიდაობის სექციას ვხელმძღვანელობდი და თავად ფეხბურთსაც ვთამაშობდი. 1933 წლის იანვარში საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კურსებზე გამგზავნეს (ვასო ვერულაშვილი იყო ხელმძღვანელი). კურსები რომ დავამთავრე, იმავე ტრამვაის პარკში დავიწყე მუშაობა ფიზკულტურის ინსტრუქტორად.

1933-35 წლებში წითელი არმიის რიგებში ვიყავი.

1935 წელს თბილისის უნივერსიტეტში ფიზკულტურის ფაკულტეტი გაიხსნა. შემდეგში ეს ფაკულტეტი ფიზკულტურის ინსტიტუტად გადაკეთდა, რომლის პირველი გამოშვების ერთ-ერთი კურსდამთავრებული მეც ვიყავი".



აქედან იუბილარი უკვე მხოლოდ თარიღებსა და ღონისძიებებს აღნიშნავს.

1935 წელს ბაკურიანში პირველად ჩატარდა რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში, სადაც ლევან სტვილიაც გამოვიდა გრძელ მანძილზე რბოლაში. 1936 წელს საკავშირო პროფსაბჭომ ყაბარდო-ბალყარეთში გახსნა სსრ კავშირში პირველი სკოლა, სადაც მთამსვლელობის ინსტრუქტორებს ამზადებდნენ. საქართველოდან ეს სკოლა წარჩინებით დაამთავრა ოთხმა კაცმა — ოტო როგოვსკომ, გრიგოლ გელაშვილმა, გიორგი ქავთარაძემ და ლევან სტვილიამ.

შემდეგ ერთმანეთს მოსდევს: 1936 წელს სპორტსაზოგადოება „ნაუკას" ჯგუფი მყინვარწვერზე ავიდა. ჯგუფს სტვილია ხელმძღვანელობდა. იმავე წელს თბილისის უნივერსიტეტში მშვ კომპლექსის მეორე საფეხურის გაძლიერებული ნორმატივები პირველად ჩააბარა შვიდმა სტუდენტმა, რომელთა შორის ლევან სტვილიაც იყო. ამ დროს იგი უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდშიც თამაშობდა. 1937 წელს ლევანი რესპუბლიკის წარგზავნილ სხვა სპორტსმენებთან ერთად ფიზკულტურელთა პირველ საკავშირო პარადში მონაწილეობდა, რომელიც მოსკოვში მოეწყო. იმავე წელს ჩავება პირველ რესპუბლიკურ სამთო ველოტურში, რომლის მარშრუტიც 838 კილომეტრს შეადგენდა. 1938 წელს გამოდიოდა თბილისის პირველ გასამხედროებულ ლაშქრობაში 25 კმ-ზე...

1941 წელს მცხეთაში ჩატარდა ქალაქის პირველობა ნაოსნობაში — ლევან სტვილიამ I ადგილი დაიკავა.

... 1942 წელს ლევანი ხელმძღვანელობდა სამედიცინო ინსტიტუტის სამთოსათხილამურო გადასვლას მარშრუტით გორი — ბაკურიანი. ეს გადასვლები უფრო რთული მარშრუტით შემდგომ წლებშიც მეორდებოდა.

1944 წელს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა სააგიტაციო ველოგადარბენა მოაწყო აღმოსავლეთ საქართველოში. ლ. სტვილია ამ გადარბენაში მონაწილეობდა და პოლიტხელმძღვანელიც იყო.

1945 წელს მოსკოვში სოფლის მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება ჩატარდა. ჩვენმა წარგზავნილებმა, რომელთაც ლევან სტვილია წვრთნიდა, III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

აქ აღარ ჩამოვთვლით ყველა იმ ღონისძიებას, რომელშიც ლ. სტვილიას მიუღია მონაწილეობა ან მსაჯად ყოფილა მიწვეული. ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი ღონისძიებები მრავლად ჩატარებულა 1948, 1949, 1951... 1962 წლებში.

ბარათის ბოლოს იუბილარს მიუწერია: „ვარ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი სათხილამურო სპორტში და ლელოში. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა დამაჯილდოვა „ფიზკულტურის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით".

რას იტყვის მკითხველი, ვითომ ცოტაა ეს ყველაფერი სასახელოდ ერთი კაცისთვის?

ც. ფუჯიალაძე.

## სსრ კავშირის თასზე



| | |
|---|---|
| 0 : 0 | |
| 11 : 9 | |
| 3 : 0 | |
| 2 : 1 | |
| 1 : 0 | |
| 2 : 0 | |
| 1 : 1 | |

გუშინწინ ყარაგანდაში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალურ მატჩი: „შახტიორი" (ყარაგანდა) — „დინამო" (თბილისი). ამ დღეს იქ ყველაფერი შეიძლებოდა, ფეხბურთის თამაშის გარდა: მინდორი გაყინული იყო, ქროდა ძლიერი ქარი, ციოდა მინუს 10 გრადუსამდე. და მაინც, მატჩი შედგა.

მასპინძლები ძალზე რთული ამოცანის წინაშე იდგნენ: პირველი შეხვედრა ნათ თბილისში წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 0:3, რევანშის აღება ასეთივე განსხვავებით კი მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, თამაშმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. 90 წუთის მანძილზე გოლი არ გატანილა — 0:0. თბილისის „დინამო" გავიდა თასის მეოთხედფინალში, სადაც შეხვდება ლვოვის „კარპატის". მატჩები შედგება 21 და 26 მარტს.

დინამოელებმა ყარაგანდაში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: სტეფნეია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ხურცილავა, პატრაშვილი, გავაშელი, კუტივაძე, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული იქნა მ. ხურცილავა, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი.

კიევის დინამოელებმა მერვედფინალის პირველი მატჩი გაჭირვებით მოუგეს როსტოვის არმიელთა გუნდს — 1:0. ეს მინიმალური ანგარიში დაფიქსირებული იქნა განმეორებით შეხვედრაშიც, რომელიც როსტოვში შედგა 16 მარტს. გოლი კიეველთა კარში 30-ე წუთზე გაიტანა ჩიხლაძემ.

უშედეგოდ დამთავრებული დამატებითი დროის შემდეგ ორივე გუნდის კარში დაინიშნა პენალტების სერია — 5-5.

პირველ სერიას გამარჯვებული არ გამოუვლენია—4:4. მეორე სერიაში როსტოველებმა ყველა 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს, ხოლო კიეველებმა ერთი დარტყმა მიზანს ააცდინეს (ბურთი მოხვდა ძელს). ორი მატჩის ჯამში უპირატესობა წილად ხვდათ არმიელებს, რომელთა მეტოქე მეოთხედფინალში იქნება მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს შორის გამარჯვებული (ეს მატჩი გუშინ შედგა ტაშკენტში).

ლვოვში ადგილობრივმა „კარპატიმ", რომელსაც პირველი თამაში ოდესის „ჩერნომორეცთან" წაგებული ჰქონდა ანგარიშით 0:1, შინ შეძლო სრული რევანშის აღება — 3:0. აღსანიშნავია, რომ ლვოველებმა ხიდაკმა, გრეჩკამ და კოზინკევიჩმა ოდესელთა კარში ყველა ბურთი გაიტანეს შესვენების შემდეგ პირველი 19 წუთის განმავლობაში.

ზაპოროჟიეში ადგილობრივმა „მეტალურგმა" კარგად ითამაშა თასის ძარმანდელი მფლობელის—მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ და გაიმარჯვა კიდეც — 2:1. ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა ნოვიკოვმა, შემდეგ გუტინმა მეორეჯერ აიძულა სპარტაკელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში და მხოლოდ მე-80 წუთზე შეძლო კისელიოვმა ერთი გოლის გაქვითვა. ორი მატჩის ჯამში საერთო ანგარიში გახდა 2:2 (პირველი მოიგო „სპარტაკმა" — 1:0). ამ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, მეტოქის მინდორზე გატანილი გოლი ორმაგად ფასობს. ამის წყალობით მეოთხედფინალში გავიდნენ სპარტაკელები, რომლებიც შეხვდებიან ალმა-ათის „ყაირატსა" და მოსკოვის „ლოკომოტივს" შორის გამარჯვებულს.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" შინ მიიღო მოსკოვის „ტორპედო". ტორპედოელებმა, რომლებსაც პირველი თამაში მოგებული ჰქონდათ (2:0), ახლაც გაიმარჯვეს — 1:0. ეს გოლი მე-3 წუთზე გაიტანა სმირნოვმა.

ბაქოში შედგა ლენინგრადის გუნდების — „ზენიტისა" და „დინამოს" მეორე შეხვედრა და კვლავ დაფიქსირებული იქნა იგივე ანგარიში — 2:0 „ზენიტის" სასარგებლოდ (სადირინი, ივანოვი). ზენიტელები მეოთხედფინალში შეხვდებიან მოსკოვის „ტორპედოს".

სოჭში ითამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივმა" და ალმა-ათის „ყაირატმა". ლოკომოტიველი ტიმოფეევის მიერ გატანილი გოლი გაქვითა ოსიაშვილმა — 1:1.

# ახალი ამბები

● კიშინიოვი, 15 მარტი. ფრუნზელმა სპორტის ოსტატმა ვ. ბაკანაჩმა (მძიმე წონა) ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა ი. ზაიკინის ტრადიციულ მემორიალში. 10 მოკავშირე რესპუბლიკის 172 ათლეტიდან კიდევ ორმა „კლასიკოსმა" გაიმდიდრა თავისი კოლექციები მედლებით, რომლებზეც ეს ვოლგელი გოლიათია გამოსახული. უმაღლესი ჯილდო მესამედ დაიმსახურა კიშინიოველმა სპორტის ოსტატმა პ. გროსუმ (57 კგ) და მეორედ — მისმა თანაგუნდელმა, სპორტის ოსტატმა ვ. ცოტინმა (82 კგ). დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ა. ოტჟიმატოვმა (ფრუნზე), გ. მინინმა, ი. ნეკრაზიევმა (ორივე — ლენინგრადი), ე. ჟელტობრიუხმა (ტირასპოლი), ვ. სალინსკიმ (კიშინიოვი), გ. რეიხმანმა (ტირასპოლი) და ა. დიკანევმა (ფრუნზე). გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მოლდავეთი, 2. ლენინგრადი, 3. სომხეთი.

● არხანგელსკი, 16 მარტი. ერთწლიანი „შესვენების" შემდეგ მოსკოვის დინამოელებმა კვლავ, უკვე მეთერთმეტედ მოიხვეჭეს სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდება ბურთიან ჰოკეიში. გუშინ მოსკოველებმა აქ ფრედ (4:4) ითამაშეს ადგილობრივ „ვოდნიკთან", 41 ქულა დააგროვეს და ჩემპიონატის დამთავრებამდე გაინაღდეს უძლიერესთა სახელი — მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდნენ.
ტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდნენ.

● ბუდაპეშტი, 16 მარტი. აქ გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში ევროპული ლიგის პირველობის მორიგი მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და შვეციის ნაკრები გუნდები. სტუმრებმა, რომელთაც სათავეში ედგათ მსოფლიო ჩემპიონი ს. ბენგტსონი, მწვავე ბრძოლაში მიაღწიეს გამარჯვებას — 4:3. გათამაშებას კვლავინდებურად ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი, რომელმაც ხუთივე მატჩი მოიგო. 3-3 მოგება აქვთ უნგრეთის, სსრ კავშირის, შვეციისა და გფრ-ის წარმომადგენლებს. ლიგის პირველობის შემდეგი მატჩი 21 მარტს გაიმართება მოსკოვში: ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდები.

● ბაქო, 16 მარტი. ამიერკავკასიის მოშაშეთა აქ გამართული ტურნირი საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ყველას აჯობა ორმა ბაქოელმა დიდოსტატმა: ი. არუსტამოვმა და ვ. გაბრიელიანმა 9-9 ქულა დააგროვეს 13-დან. ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად მოასპარეზე აზერბაიჯანის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 17 წლის კ. ნურულაევმა 8 ქულა მოაგროვა და ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

● გორკი, 16 მარტი. ადგილობრივი ქარხნის „კრასნოე სორმოვოს" სპორტის სასახლეში დღეს საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის X პირად-გუნდური ჩემპიონატი ბადმინტონში. ტურნირში ქვეყნის 22 ქალაქის 84 სპორტსმენი მონაწილეობს. პირველ შეხვედრებს სენსაცია არ მოჰყოლია. ჩემპიონატი 19 მარტამდე გასტანს.

## სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტული თანამშრომლობა

17 მარტს მოსკოვში საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა და ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურის კავშირის თავმჯდომარემ ა. გიმლმა ხელი მოაწერეს მიმდინარე ხუთწლედში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტული თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების თაობაზე მიღებულ შეთანხმებას. ამ შეთანხმებაში დიდი ყურადღება დაეთმო მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს. დადგინდა, რომ ერთმანეთს რეგულარულად გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება ამ ქვეყნების საწარმოების, უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლების, სკოლების, სოფლის ფიზკულტურელთა კოლექტივებმა, შეისწავლონ და ფართოდ გააცნონ ერთმანეთს საწარმოო ტანვარჯიშში მიღწეული წარმატებები.

შეთანხმდნენ ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების ჩატარების, სპეციალისტთა გაცვლა-გამოცვლის, უმაღლესი კლასის სპორტსმენთა მომზადების დარგში თანამშრომლობის გაფართოების საკითხებზე, განსაკუთრებით, ფიგურულ ციგურაობაში, სათხილამურო რბოლებში, მძლეოსნობაში, ხელბურთში, ფრენბურთში, ველოსპორტში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ტანვარჯიშში.

## ჩემპიონატი დაიწყო

თბილისის საფეხბურთო ჩემპიონატმა წლეულს ჩვეულებრივზე ადრე აიღო სტარტი. 11 მარტს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და „ლისარტყელას" კარგად მომზადებულ ბაზებზე თამაშებში ჩაებნენ II ჯგუფის გუნდები.

12 მარტს უნდა მომხდარიყო ჩემპიონატის საზეიმო გახსნა I ჯგუფის გუნდებისთვის, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ეს ღონისძიება ვერ შედგა და ქალაქის ფედერაციის გადაწყვეტილებით გათამაშების გახსნა გადატანილია 19 მარტისთვის.

ამ დღეს 11 საათზე არმიის სპორტკლუბის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში აღიმართება საქალაქო პირველობის ალამი. გათამაშების მონაწილენი უკლებლივ უნდა გამოცხადდნენ გახსნის პარადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ნათ შეჯიბრებაზე არ დაუშვებენ.

ი. გოგორაძე,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანი: ოლიმპიური თამაშები

ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში დაიწყო წინაოლიმპიური შესარჩევი ტურნირი ევროპის ზონის ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, XX ოლიმპიადის პროგრამაში ვაჟთა ხელბურთიც არის შეტანილი და სარბიელზე 16 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ. აქედან 8 მონაწილის ვინაობა უკვე ცნობილია. ესენი არიან რუმინეთის, გდრ-ის, იუგოსლავიის, დანიის, გფრ-ის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდები. ამ ქვეყნების სპორტსმენებმა 1970 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით მიიღეს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება.

დანარჩენი 8 საგზური შესარჩევ ტურნირებში უნდა გათამაშებულიყო. ერთი ადგილი მიეცა ამერიკის ზონაში გამარჯვებულს — აშშ-ს ნაკრებს, ერთი — აზიის ზონაში უძლიერესს — იაპონიის გუნდს. ერთი საგზური გათამაშდება აფრიკის ზონაში, ხოლო დანარჩენი 5 — ევროპის ზონაში.

ევროპის ზონის გუნდები ოლიმპიადის საგზურებისთვის ესპანეთში იბრძვიან. ამ ტურნირში მონაწილეობენ ნორვეგიის, ბელგიის, ისლანდიის, ფინეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, ჰოლანდიის, ბულგარეთის, შვეიცარიის, ესპანეთის, ლუქსემბურგის, ინგლისის, პორტუგალიის, იტალიის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ხელბურთელები.

ევროპის ზონის გუნდები ოთხ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი შემდეგ ეტაპზე შეადგენენ ორ-ორ ნახევარფინალურ ჯგუფს, აქ გამარჯვებულნი გაითამაშებენ I-II ადგილებს, მომდევნო ადგილებზე გასულნი — III-IV ადგილებს და ა. შ.

სსრ კავშირის ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი პონტევედრაში გამართა პორტუგალიის გუნდთან და იოლად გაიმარჯვა — 23:6 (10:2). ყველაზე მეტი გოლი (8) გაიტანა ვ. მაქსიმოვმა.

გუშინ სსრ კავშირის ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში მეორე მატჩი ჩაატარა იტალიელებთან, ხოლო დღეს პოლონელებთან ითამაშებს.

20 და 22 მარტს გაიმართება ნახევარფინალური ჯგუფების ტურნირები, ხოლო 24-25 მარტს მადრიდში გადამწყვეტი შეხვედრები ჩატარდება.



მაისში ჩატარდება მშვიდობის XXV ველორბოლა. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა უკვე დაიწყეს მზადება ამ დიდი შეჯიბრებისთვის. ისინი ხშირად თხილამურებით სრიალებენ მაღალ ტატრებში და ყოველდღე 30-40 კილომეტრს გადიან.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიელები წვრთნის დროს.

ჩტკ—საქდესის ფოტო.

## სასიამოვნო თუ სასარგებლო?

ავსტრალიელმა მორბენალმა ქალმა რელენ ბოილმა და მისმა მწვრთნელმა ჯერი პერემ შეარჩიეს წვრთნის მეთოდი, რომელმაც ერთი შეხედვით მარტო სიამოვნება შეიძლება მოჰგვაროს სპორტსმენს. ავსტრალიური ზაფხულის მცხუნვარე დღეებში რელენი მსუბუქ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი თითქმის ორ მილზე დარბის მელბურნის ახლოს მდებარე პლაჟის ქვიშაზე.

ეს 20 წლის სპორტსმენი ავსტრალიელ სპორტის მოყვარულთა მთავარი იმედია მიუნხენის მომავალი ოლიმპიადისთვის. მიაჩნიათ, რომ მას თამამად შეუძლია ოლიმპიური ჯილდოების მოგება 100 და 200 მეტრზე რბენაში.

ახალი მეთოდი — რბენა პლაჟზე კი არც ისე იოლი გახლავთ. რელენი ქვიშაზე დარბის, რისთვისაც გაცილებით მეტ ძალას ხარჯავს, ვიდრე მყარ მიწაზე სირბილის დროს. ზოგჯერ პერე სპორტსმენს აჩქარებს ნაპირზე და მერე წყალში სირბილით შესვლას აიძულებს. ეს დიდ ძალას მოითხოვს.

სიამოვნებას კი სპორტსმენს ალბათ უთუოდ მგვრის წვრთნის შემდეგ ტალღებში ჩაყურყუმალავება.

(საქდესის კორ.).

მელბურნი.

# თბილისის პირველობის ფინიში

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, დამთავრდა დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი. მოხდა ისე, რომ გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები პ. შაქარიანი და დ. ჯანოევი სწორედ ბოლო ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. მათ შორის გამარჯვებული ჩემპიონი ხდებოდა. დაახლოებით თანაბარ პოზიციაში შაქარიანმა საკონტროლო სვლის გაკეთება ვერ მოასწრო და წაგება ჩაეთვალა. ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: მ. ლევინმა მოუგო გ. მეხრიშვილს, შ. ჭრელაშვილმა — რ. კაპანაძეს, გ. ციხელაშვილმა — კ. ჩიგოგიძეს, ს. მეგრელიშვილმა — ე. კუშჩიანს. გ. კალატოზიშვილ — მ. ფრიდინსკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, დედაქალაქის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ჯანოევმა, რომელმაც 9,5 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ციხელაშვილი — 9, III — შაქარიანი — 8,5. ეს სამი მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ჩემპიონატში. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV. კალატოზიშვილი — 8 ქულა, V. ლევინი—7,5, VI-VII. ჩიგოგიძე, ფრიდინსკი—7-7, VIII. კაპანაძე—6, IX. მეგრელიშვილი — 5, X. გ. ბალოიანი — 4,5, XI-XII. მეხრიშვილი, ჭრელაშვილი—2,5-2,5, XIII. კუშჩიანი — 1.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვთხოვეთ ჩემპიონატის მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს, სპორტის ოსტატ ა. ბლაგიძეს გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი.

— ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, შემადგენლობით ვერ იყო ძლიერი, ვინაიდან წამყვანი მოჭადრაკეები სსრ კავშირის ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ,—თქვა მთავარმა მსაჯმა.—მიუხედავად ამისა, ბრძოლა უშელავათო და მწვავე იყო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები რესპუბლიკური ჩემპიონატის საგზურებს ღებულობდნენ. ჯანოევი გამოცდილი ოსტატია და მისი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია. დიდი ხნის შემდეგ მონაწილეთა შორის ვიხილეთ კალატოზიშვილი, რომელმაც კარგად ითამაშა, მაგრამ პრაქტიკის უქონლობამ ამ ნიჭიერი მოჭადრაკის თამაშს თავისი დაღი დაასვა. სუსტად ითამაშა თბილისის შარშანდელმა ჩემპიონმა ლევინმა. ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატებმა მეხრიშვილმა, ჭრელაშვილმა და კუშჩიანმა მეტი უნდა იმუშაონ, რათა წოდება გაამართლონ. ზოგიერთი მოჭადრაკე მთელი ძალით ვერ თამაშობდა, რადგან მონაწილენი შეჯიბრების დღეებში ძირითადი სამუშაოსგან განთავისუფლებული არ იყვნენ.

ა. ცეხანელი.

# მოჭადრაკეთა ფორუმი დამთავრდა

მოსკოვი, 16 მარტი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პლენუმი. პლენუმზე ილაპარაკეს საბჭოთა ჭადრაკის წარმატებებზე, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე, აგრეთვე, ფედერაციის საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე და მათი აღმოფხვრისთვის აუცილებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე.

ახლა საბჭოთა კავშირში ითვლება 37 დიდოსტატი, 524 ოსტატი, საჭადრაკო კომპოზიციის 46 ოსტატი, 26 ათასზე მეტი პირველთანრიგოსანი. უკანასკნელ ორნახევარ წელიწადში სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟებმა და ქალებმა 88 საერთაშორისო შეჯიბრებაში ითამაშეს და 56 I ადგილი დაიკავეს. სსრ კავშირის ნაკრებმა მეათედ გაიმარჯვა მსოფლიო ოლიმპიადაში, ხოლო ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა — სტუდენტთა ბოლო ორ ოლიმპიადაში. პიონერთა რაზმეულების შეჯიბრებაში, რომელსაც „თეთრი ეტლი" ჰქვია, დაახლოებით მილიონმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. წარმატებით ჩატარდა საკავშირო ოლიმპიადა და დიდოსტატთა ტურნირი — „ალიოხინის მემორიალი-71".

არჩეულია პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ დიდოსტატი ი. ავერბახია დამტკიცებული.

# ჩემპიონები ბრძოლას გამოეთიშნენ

ალმა-ათა, 16 მარტი. სსრ კავშირის სამთომოთხილამურეთა პირადგუნდური ჩემპიონატის ბოლო დღე მოულოდნელობებით იყო აღსავსე. ღამით ხვავრიელად მოთოვა და ალიონზე ყველა სპორტსმენი, მწვრთნელი და მსაჯი ტრასის მოსამზადებლად გამოვიდა. საქმეს ნისლის სქელი ფარდა აფერხებდა. და მაინც, 11 საათზე შეჯიბრება დაიწყო.

სპეციალურ სლალომში შეჯიბრებამ სტარტი აიღო და დაიწყო კიდეც მოულოდნელობანი: ფავორიტები ერთიმეორეზე ეთიშებოდნენ ბრძოლას. ჯერ იყო და მიმდინარე ჩემპიონატის ორგზის ოქროს ლაურეატი, ლენინგრადელი ს. გრიშჩენკო პირველი ტრასის (480 მ, სიმაღლეთა სხვაობა 180 მ) შუაში დაეცა, მერე მისი ბედი ქართველმა ი. ნასყიდაშვილმა გაიზიარა, საბოლოოდ კი 33 კაციდან ექვსმა ვერ მიაღწია ფინიშს.

პირველი დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა ა. ბელოკრინკინმა (რსფსრ-I) — 47,85 წამი. მეორე შედეგი ჰქონდა ა. ლეონტიევს (ლენინგრადი) — 48,27, ხოლო მესამე — ვ. მელნიკოვს (რსფსრ-I) — 49,01.

მეორე ცდა (ტრასის სიგრძე 470 მ, სიმაღლეთა სხვაობა — იგივე) — მოიგო მ. ლოგინოვმა (რსფსრ-I) — 49,91. მეორე დრო ჰქონდა მელნიკოვს (50,30), ხოლო მესამე — გ. ჯიჭონაევს (საქართველო) — 50,31.

ორი დისტანციის ჯამში სპეციალურ სლალომში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ბელოკრინკინი — 1.38,75. ვერცხლის მედალი მოიგო ლეონტიევმა (1.38,94), ხოლო ბრინჯაოსი — მელნიკოვმა (1.39,31).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ლენინგრადი, 2. ყაზახეთი, 3. რსფსრ-I.

# თოვლიან ტრასებზე

ვენა. ახლა უკვე მსოფლიო თასის ორგზის მფლობელმა ანემარი პროლმა განარჯვებით დააგვირგვინა ოლიმპიური სეზონი: ავსტრიის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა გიგანტურ სლალომში.

ჟენევა. ჰაუტე-ნენდაცში შვეიცარიის სამთომოთხილამურეთა ჩემპიონატმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. საპოროს XI „თეთრი თამაშების" ორგზის ჩემპიონმა მარი-ტერეზ ნადიგმა ყველას აჯობა სწრაფდაშვებაში. სამაგიეროდ, მეორე ოლიმპიური ჩემპიონი ბერნარ რუსსი ამ სახეობაში 17 ადგილით დაკმაყოფილდა: წინ გაუშვა ვ. ტრიეშ, ა. შპრეჰერი და რ. ბერტო.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მექსიკელები უარზე არიან

ჩვენ ამას წინათ ვწერდით, რომ ბრაზილიის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ტურნირს, ეგრეთ წოდებულ მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს — „მინი-მონდიალს" ვერა აქვს სახარბიელო პერსპექტივა, თუმცა ბრაზილიის სპორტულმა კონფედერაციამ საუკეთესო მასპინძლობა და ფინანსური პირობები აღუთქვა მასში მონაწილე გუნდებს.

ეტყობა, ჯერჯერობით ეს ღონისძიებაც ვერ ჰრის, როგორც საჭიროა. მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ თავის ამასწინანდელ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღო უარი თქვას „მინი-მონდიალში" მონაწილეობაზე. მექსიკელთა უარს სპორტული თვალსაზრისით, შეიძლება, არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბრაზილიის ნაკრებმა სწორედ ამ ქვეყანაში მოიგო მესამედ და სამუდამოდ ოქროს ქალღმერთის პრიზი და ამიტომ მადლიერი მსოფლიო ჩემპიონები საგანგებოდ ემზადებოდნენ მექსიკელთა სამასპინძლოდ.

რა არის უარის მიზეზი? მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია აღნიშნავს, რომ მისი ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი ახლა უჩვეულოდ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. უკვე 10 წელია გულშემატკივრებს ასეთი ენთუზიაზმით არ უვლიათ სტადიონზე, ამიტომ მიზანშეწონილი არ იქნებოდა გათამაშების ვადების შეცვლა და არევა.

არის თუ არა დამაჯერებელი ეს არგუმენტი? ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მექსიკელთა უარი ძალიან აღშფოთებს ბრაზილიის საფეხბურთო წრეებს.

## ჩინებული ბალანსი

ბრაზილიის ნაკრებს სულ 394 საერთაშორისო მატჩი აქვს ჩატარებული. მისი ბალანსი ასეთია: 200 მოგება, 65 ფრე და 69 წაგება, ამასთან, შედეგები ბოლო ათ წელიწადში სულ უფრო უმჯობესდება. ამ 10 წლის მანძილზე ბრაზილიელებმა 145 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ 18 წააგეს. უკანასკნელად ბრაზილიელები დამარცხდნენ (0:2) თავიანთ ძველთაძველ მეტოქე არგენტინელებთან ორი წლის წინ. მას შემდეგ 26 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ 7 დაასრულეს ფრედ.

## თამაში შეუძლია!

„იმის მიუხედავად, როგორ ფორმაშია, შეკულარაცს თამამად შეუძლია თამაში იუგოსლავიის პირველი ლიგის ნებისმიერ გუნდში", — განაცხადა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდის" მწვრთნელმა მ. მილიანიჩმა.

შეკულარაცი ახლა მწვრთნელად მუშაობს „ცრვენა ზვეზდის" ჭაბუკთა სკოლაში, რომელსაც სახელად ჰქვია „მიტიჩ-შეკულარაც ჯაიჩი". „ცრვენა ზვეზდას" სურს შეკულარაცმა ამ სკოლაშიც იმუშაოს და პირველ ლიგაშიც ითამაშოს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# თბილისის სპორტულ ბაზრებზე

მძლეოსნობა. სპორტის სასახლე. 18 მარტი. საერთაშორისო შეჯიბრება რომის ოლიმპიადის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. შავლაყაძის პრიზზე. მონაწილეობენ სსრ კავშირის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, რუმინეთისა და ბულგარეთის საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელები. დასაწყისი 17 ს.

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 18 მარტი. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია). დასაწყისი 13 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). 14 ს.

## „ლოკომოტივის" სტადიონი

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

17-25 მარტს გაიყიდება 1972 წლის საფეხბურთო სეზონის ფასიანი აბონემენტები ორგანიზაციებში. 31 მარტს იწარმოებს საერთო გაყიდვა სტადიონის სალაროებში.

აბონემენტების ღირებულება მხოლოდ „დინამოს" 15 თამაშზე: 15 მანეთი; 12 მანეთი; 10 მან. 50 კაპ.

სტადიონის დირექცია.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

ვასილ ალექსანდრეს ძე ილურიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02577